

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ლაითურის მაჟორიტარი დეპუტატის გიორგი ჩაგანავას 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის 27 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვეყრდნობოდი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით მივიღე მონაწილეობა და გავხდი საკრებულოს წევრი დაბა ლაითურის ადმინისტრაციული ერთეულიდან.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში. 1). საფინანსო-საბიუჯეტო 2) სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის ~~შეხვედრებში~~ ამავდროულად ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.

სულ საანგარიშო პერიოდში მივიღე მონაწილეობა საკრებულოს როგორც რიგით ასევე რიგგარეშე სხდომებში 20-ჯერ, ბიუროს სხდომებს 25-ჯერ , ჩემს მიერ საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული გრაფიკით როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ჩავატარე 16 სხდომა აგრეთვე დავესწარი სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომას 5-ჯერ და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ 9 სხდომას.

მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში, სულ 8 შეხვედრაში.

როგორც საკრებულოს წევრს და ამავდროულად საკრებულოს თანამდებობის პირს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) როგორც საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე გასვლითი სულ: 35 - მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურას. კერძოდ: დაბა ლაითურის ტერიტორიაზე შიდა გზების მოხრეშვა და რიგ ადგილებში ბეტონის გზის დაგება და გარე განათების მოწესრიგებას.

ეხლა მინდა მოგახსენოთ იმ პროექტების შესახებ რომელიც დაბა ლაითურის განხორციელდა როგორც საქართველოს მთავრობის ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.კერძოდ ეს პროექტებია:

1. N1 საბავშვო ბაღის კაპიტალური შეკეთება რომლის ღირებულებამ შეადგინა 36 288,99 ლარი.
2. მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სტიქიის მიერ დაზიანებული სახურავების შეეცვალა ახლით თანხით 152 000 ლარის ღირებულებით. სულ 6 საცხოვრებელზე.
3. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაბა ლაითურის წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2017 წელს გამოცხადდა ტენდერი რომლის ღირებულებამ შეადგინდა 5 523 251 ლარს. გამარჯვებული კომპანია გახდა „შაჰარტ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფილიალი საქართველოში“, რომელსაც გაუფორმდა ხელშეკრულება თანხით 4 703 426 ლარზე, ხელშეკრულების ბოლო ვადაა 2019 წლის 21 მარტი. ამ პროექტით სრულიად მოეხსნება დაბის მოსახლეობას ის პრობლემები რომელიც 30 წელია არსებობდა.
4. როგორც თქვენთვის ცნობილია 2018 იანვრის თვეში ხანძრის მიერ დაიწვა და სრულიად განადგურდა მე-5 რაიონში არსებული მრავალბინიანი კორპუსი სადაც ცხოვრობდა 5 ოჯახი. მუნიციპალიტეტის მიერ შემოწმებული იქნა აღნიშნული კორპუსი და დადგინდა რომ კორპუსი საცხოვრებლად უვარგისის იყო. გამომდინარე აქედან 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტში სწრაფად მოხდა თანხების მობილიზაცია რათა დაწყებულიყო ახალი კორპუსის მშენებლობა თანხით 189 920 ლარი, რომელიც დამთავრდება მიმდინარე წლის გაზაფხულისთვის.
5. 2018 წლის აგვისტოს თვეში „განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო“, საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში დაბა ლაითურის საჯარო სკოლის რეაბილიტაციას ახორციელებს დონორი ორგანიზაცია მილენიუმი ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია თანხით 1 000 000 ლარის ოდენობით, რომელიც დასრულდება მიმდინარე ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე.
6. დაბაში დაიგო ახალი ასფალტსაფარი მერია-ლაითური ცეცხლსაფარის 14 კილომეტრიანი საავტომობილო გზა 7 515 153 ლარის ღირებულების რომელიც პრობლემა წლებია იყო დაბაში.
7. დაბაში მოიხრემა შიდა გზები სულ 3 კმ.
8. დაბაში დაიგო 250 მეტრი ბეტონის გზა.

როგორც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავჯდომარე და საკრებულოს წევრი აქტიურად ვმონაწილეობდი საკრებულოს მიერ სამართლებრივ აქტების მიღება დამტკიცებაში. კერძოდ:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ~~შეფასება~~ შეფასებაში.

-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019-2020 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების.

კურორტ გომისმთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის დასამტკიცებლად დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებაში;

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“.

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის შემოღების შესახებ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

აგრეთვე საკრებულოს სხვადასხვა მიღებულ განკარგულება/დადგენილებებში რომლიც აისახება ჩემს მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრებით.

მე როგორც საკრებულოს წევრი გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას საქართველოს პარლამენტში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატთან, საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და სოფლის ამომრჩევლებთან. რათა 2019 წელი უფრო წარმატებული გახდეს დაბისათვის.

და ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს მთლიან შემადგენლობას და საკრებულოს აპარატს

**საკრებულოს წევრი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე
ლაითურის მაჟორიტარი დეპუტატი
გიორგი ჩაგანავა
11.02.2019 წ**